

კავკასიელი

კავკასის მთებში მე ვარ შობილი,
სამშობლო ჩემი შუა ქართლია,
გვართ, წოდებით, იქ ვარ ცნობილი,
ნინო წმინდაა ჩემი ნათლია.

ჩემთვის ერთია, იყოს კახეთი,
იმერეთ-მესხეთ, რაჭა, გურია,
თუშეთ-ფშავეთი, გინდ ხევსურეთი,
სვანეთის ნახვაც ძალზე მყურია.

თვით სამეგრელო, ძველი ოდიში,
აფხაზეთი და სამურზაყანო,
მსურს ვინახულო, ვთხოვო ბოდიში
და მოკრძალებით მივეთაყვანო.

განა არ მახსოვს კობცა ლეჩხუმი,
ანდა ლამაზი, გურუა აჭარა,
ვხელავ, ბრქეინავენ ვით აბრეშუმი,
მათ მოგონებამ მთლად გამახარა.

არ მავიწყლება ძველი თბილისი,
დედაქალაქი დედა მშობელის,
ფოთი, ბათუმი და ქუთაისი,
ტაძრები ჩვენი საგალობელის.

ყველა მათგანი არის ნაცნობი,
ყველა მათგანი ჩემთან ახლოა,
მათ გრფიალით მაქვს გული ნაღრძობი,
ყველგან იქ ცემი სამოსახლოა.

მე სხცა სამშობლო არსად არა მაქვს
ასე მარადი და მაღლიანი,
მისი სიცოცხლე გულით თან დამაქვს
როგორც მის შვილი, ადამიანი.

ჩემი სარკეა მის ცა ნათელი,
მისი მთა-ბარი – ჩემი აკვანი,
ვალღებული ვარ, ვუნთო სანთელი
და დაჩოქილი ვცე მას თაყვანი.